

სს პაშა ბანკ საქართველოს შესაბამისობის პოლიტიკა

1. მიზანი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სს პაშა ბანკი საქართველოს (შემდგომში „ბანკი“) სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო აღნიშნული შესაბამისობის პოლიტიკა. ბანკის შესაბამისობის დეპარტამენტს შეუძლია, წარმოადგინოს დეტალური სახელმძღვანელო ინსტრუქციები წინამდებარე შესაბამისობის პოლიტიკაში წარმოდგენილ პრინციპებთან მიმართებაში.

შესაბამისობის პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს პატიოსან, ეთიკურ ქცევას და უზრუნველყოს შესაბამისობა კანონებთან, რეგულაციებთან, წესებთან და პროფესიულ სტანდარტებთან, ისევე როგორც ბანკის ქცევის კოდექსთან და ჯგუფის პოლიტიკასთან, რათა დაიცვას ფინანსური ბაზრის მთლიანობა.

ყველა დონეზე მომსახურე თანამშრომლები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს უნდა ასრულებდნენ გულმოდგინედ, ეფექტურად და თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით. მათ უნდა იმოქმედონ ბანკის მიმართ ერთგულების დაცვით, რა დროსაც კლიენტებისა და აქციონერების კანონიერ ინტერესებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ასევე მათ უნდა იმოქმედონ პატიოსნად, დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, კეთილგონივრულად და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებლად.

წინამდებარე შესაბამისობის პოლიტიკამ უნდა:

- გამოავლინოს შესაბამისობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკის შემცველი საკითხები;
- ახსნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები;
- ჩამოაყალიბოს შესაბამისობის ფუნქცია, მისი დამოუკიდებლობა და მისი ამოცანები;
- მოითხოვოს შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ შესაბამისობის წესდების შემუშავება;
- მოახდინოს უწყვეტი სწავლების პროგრამის განხორციელების ინსტიტუციონალიზაცია.

2. მოქმედების სფერო

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება ბანკის ყველა თანამშრომელზე შეზღუდვების გარეშე და მომსახურების ყველა მომწოდებელზე, რომელიც მოქმედებს ბანკისთვის ან ბანკის სახელით (შემდგომში „თანამშრომლები“).

3. განცხადება პოლიტიკის შესახებ

3.1. შესაბამისობის ფუნქცია

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აყალიბებს შესაბამისობის ფუნქციას, რათა მოახდინოს შესაბამისობის პოლიტიკის შემუშავების მონიტორინგი და უზრუნველყოს მისი დაცვა. შესაბამისობის პოლიტიკის მოქმედების მეთოდები და სფერო დროთა განმავლობაში ვითარდება წესდებიდან, ორგანიზაციიდან და ბანკის საქმიანობაში არსებული რისკებიდან გამომდინარე.

შესაბამისობის ფუნქციამ უნდა იმოქმედოს დამოუკიდებლად და განსაკუთრებით:

- უზრუნველყოს შესაბამისობა კანონთან, რეგულაციასთან, წესთან და პროფესიულ სტანდარტთან;
- დაეხმაროს უმაღლეს მენეჯმენტს ეთიკის წესების დაცვის უზრუნველყოფაში;
- გამოავლინოს და შეაფასოს შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი;
- დაეხმაროს უმაღლეს მენეჯმენტს ამგვარი რისკების მართვასა და კონტროლში;
- ანგარიში ჩააბაროს უშუალოდ უმაღლეს მენეჯმენტს არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე;
- მოახდინოს პერსონალის ინფორმირება და განათლება.

ბანკი შესაბამისობის დეპარტამენტის წესდებაში აწესებს შესაბამისობის ფუნქციის სტატუსს, მის ორგანიზაციას, როლსა და პასუხისმგებლობებს.

3.2. შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები

შესაბამისობის პოლიტიკა განსაზღვრავს ყველა იმ ზომას თუ ქმედებას, რათა მისაღებ დონემდე იქნას შემცირებული ბანკის მიერ მისი გლობალური მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული რისკები.

შესაბამისობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები შემდეგია:

ეთიკის წესების დარღვევა

მოიცავს ეთიკური წესების დარღვევის რისკს ბანკის ან მისი თანამშრომლების მიერ.

სამართლებრივი და ნორმატიული რისკები

მოიცავს მოქმედ კანონებთან, რეგულაციებთან და პროფესიულ პრაქტიკასთან შეუსაბამობის რისკს. ეს გულისხმობს:

- სამართლებრივ რისკს: რისკს, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივი ქმედების შედეგთან;
- ხელშეკრულების/გარიგების რისკს: რისკს, რომელიც მომდინარეობს ხელშეკრულებასთან ან გარიგებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების არასწორ ინტერპრეტაციასთან ან გამოუყენებლობასთან;
- საკანონმდებლო რისკს: რისკი, რომელიც დაკავშირებულია კანონის და წესების ცვლილებებთან.

სანქციების რისკი

სანქციების რისკი შედგება იურიდიული, ადმინისტრაციული ან დისციპლინარული სანქციების რისკისგან, გამონწვეული კანონების, რეგულაციების, წესების, ნორმებისა და/ან სახელშეკრულებო შეთანხმებების დაუცველობით.

რეპუტაციის რისკი

რეპუტაციის რისკი მოიცავს: ბანკის სანდოობის შემცირებით და შელახული რეპუტაციით, მართებული ან ყალბი უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებით, ბიზნეს-პროცესების გაუმართაობით და მოქმედი კანონებისა და რეგულაციების დაუცველობით გამონწვეულ ზიანის რისკს.

ოპერაციული რისკების გარკვეული ასპექტები, რომლებიც გამომდინარეობს ზემოხსენებულთაგან ერთერთი რისკიდან ან იწვევს მას.

4. შესაბამისობის პრინციპები

თანამშრომლებს მოეთხოვებათ გამოიყენონ და დაიცვან შემდეგი პრინციპები:

4.1. მონაწილეობას იღებდნენ და ხელს უწყობდნენ საქმიან და პროფესიულ ეთიკურ ქცევას

თანამშრომლებს მოეთხოვებათ, განახორციელონ თავიანთი პროფესიული მოვალეობა „კეთილსინდისიერი მოქალაქეობრივი ქცევის“ შესაბამისად და დაიცვან ბანკის ეთიკა, მათ შორის ყველა პიროვნების მიმართ პატივისცემა.

ბანკი არ უნდა ეძიებდეს სარგებელს არალეგალური თუ არაეთიკური ბიზნეს ოპერაციებიდან. ბანკის ყველა თანამშრომელმა უნდა გამოავლინოს ბანკის მთლიანობის ფასეულობა. ბანკის აღმასრულებელ საბჭოს აკისრია ბანკის პოლიტიკის და პრაქტიკის მიმართულებისა და ტონის განსაზღვრის სრული პასუხისმგებლობა, მთლიანობის ფასეულობის შესაბამისად.

თანამშრომლებმა თავიანთი მოვალეობები პატიოსნად, კეთილსინდისიერად და მთლიანობის დაცვით უნდა განახორციელონ, ასევე იმოქმედონ სათანადო ყურადღებით, კომპეტენციით, გონივრულობით და შრომისმოყვარეობით, თავიანთი დამოუკიდებელი მსჯელობის ნებისმიერ დროს გამოყენებით.

4.2. კანონების, რეგულაციების, წესებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვა:

ბანკი პასუხისმგებლობას იღებს, მიაწოდოს ინფორმაცია თანამშრომლებს კანონების, რეგულაციების, წესების, პროფესიული სტანდარტების და ბანკის ქცევის კოდექსის შესახებ. ამის შესასრულებლად შესაბამისობის დეპარტამენტს რეგულარულად ევალება სათანადო ტრენინგების ორგანიზება.

კანონების, რეგულაციების, წესების, პროფესიული სტანდარტების ან ბანკის ქცევის კოდექსის ნებისმიერი დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ანგარიშგება შესაბამისობის დეპარტამენტთან.

4.3. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება:

თანამშრომლებს მოეთხოვებათ, თავიდან აიცილონ ინტერესთა ნებისმიერი კონფლიქტი მათი სამუშაოს შესრულებისას. რა დროსაც არ უნდა მონაწილეობდნენ ან ჩართული იყვნენ თანამშრომლები ბანკის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მის ბიზნესთან დაკავშირებით, ისინი უნდა მოქმედებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ბანკისა და მისი აქციონერების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველგვარი უპირატესობის მინიჭების გარეშე შესაძლებელია მხარისათვის, გამომდინარე პირადი მოსაზრებებიდან. აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს,

რომ დაცული იყოს ფუნქციების მკაცრი გამიჯვნა და მიღებულ იქნას საჭირო ზომები საკუთარი ტრანზაქციების მესამე მხარის ტრანზაქციებისაგან განცალკევების უზრუნველსაყოფად.

ინსაიდერული ინფორმაციის უკანონო გადაცემის თავიდან აცილების მიზნით თანამშრომლებს შეახსენებენ თავიანთი ვალდებულებების შესახებ, დაიცვან „Chines Walls“, როგორც ეს განსაზღვრულია უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. მათ უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანი ქმედებები ისე და იმგვარად, რომ არ მოხდეს მათი კერძო თუ პიროვნული ინტერესების გადაკვეთა ბანკის ან მისი აქციონერების ინტერესებთან, მათ შორის, კონფლიქტები დაკავშირებული პიროვნულ, ფინანსურ ან სხვა სარგებელთან. კონფლიქტის წარმოშობის, ან მისი წარმოქმნის საშიშროების შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისობის ფუნქციის სათანადო წესით ინფორმირება და ინფორმაციის მიმწოდებელი თანამშრომელი არ უნდა მონაწილეობდეს არცერთ გადაწყვეტილების მიღებაში თუ ქმედებაში, რომელიც იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

4.4. ყველა გონივრული ზომის მიღება კონფიდენციალობის დასაცავად:

ბანკში თავიანთი ფუნქციების ფარგლებში თანამშრომლები ხშირად იღებენ კონფიდენციალურ ინფორმაციას ბანკის, მისი კლიენტების, მომწოდებლებისა და სხვა აქციონერების შესახებ. თანამშრომლებმა უნდა დაიცვან ყოველგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელსაც მათ მიანდობენ უმაღლესი მენეჯმენტის მიერ განსაზღვრულ უსაფრთხოების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ნებადართულია ან მოითხოვება კანონით. ბანკის კონფიდენციალური ან მისი კუთვნილი სამსახურებრივი ინფორმაცია მოიცავს ნებისმიერ არასაჯარო ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც საზიანო იქნებოდა ბანკის ან მისი აქციონერებისათვის, ან სასარგებლო - მისი კონკურენტებისათვის.

თანამშრომლებზე, რომლებიც მიდიან ბანკიდან, ვრცელდება მოქმედი ვალდებულება ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით.

4.5. ბანკის აქტივების დაცვა:

ბანკში თავიანთი ფუნქციების ფარგლებში თანამშრომლებს მოეთხოვებათ, დაიცვან ბანკის აქტივები და უზრუნველყონ მათი ჯეროვანი გამოყენება კანონიერი ბიზნესის მიზნებისთვის. თანამშრომლებმა უნდა დაიცვან ბანკის აქტივები იმგვარად, როგორც ეს შეიძლება გონივრულობის ფარგლებში იყოს მათგან მოსალოდნელი, ბანკის მენეჯერები და აღმასრულებელი საბჭო პასუხისმგებელია შესაბამისი შიდა კონტროლის დაწესებასა და შენარჩუნებაზე, რათა დაწესებულების აქტივები დაცული იქნას დაკარგვისაგან არასანქცირებული ან არასათანადო გამოყენების ან განკარგვის მიზეზით.

4.6. კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვა:

თანამშრომლებმა ისე უნდა გასწიონ მომსახურება, რომ დააკმაყოფილონ კლიენტების საუკეთესო ინტერესები, შესაბამისად ბანკის ქვევის კოდექსისა. ბანკს ყოველთვის გააჩნია ვალდებულება, გამოიჩინოს თავისი კლიენტების მიმართ ყურადღება, პატიოსნება და ნდობა.

თანამშრომლები თავისუფალი უნდა იყვნენ რაიმე გავლენისაგან, ინტერესებისაგან თუ დამოკიდებულებისაგან კლიენტების საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც ზიანს აყენებს მათი პროფესიული განსჯის უნარსა და ობიექტურობას, ან შეიცავს მათთვის ზიანის მიყენების რისკებს.

ბანკში თავიანთი მოვალეობების შესრულებისას თანამშრომლებმა სამართლიანად უნდა იმოქმედონ ბანკის კლიენტებთან, მომსახურების გამწევ პირებთან თუ ორგანიზაციებთან, მომწოდებლებთან, კონკურენტებთან და ნებისმიერ სხვა აქციონერთან მიმართებაში და თავიდან

უნდა აიცილონ ვინმეს მიმართ უსამართლო უპირატესობით სარგებლობა მანიპულირების, დაფარვის, პრივილეგირებული ინფორმაციის ან ნებისმიერი არამართებული საქმიანი პრაქტიკის მეშვეობით.

ბანკმა ნებისმიერი მომხმარებლის საჩივარზე სათანადო წესით უნდა მოახდინოს რეაგირება.

4.7. განგაშის ატეხვა (ინფორმირება დარღვევების შესახებ):

ბანკი აყალიბებს კორპორაციული მართვის სტრუქტურას, სადაც იგი ეწევა სამართლიანობის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას ამ სტრუქტურასთან მიმართებაში.

ბანკი კრძალავს რეპრესიებს იმ თანამშრომლის მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერად იუწყება წინამდებარე შესაბამისობის პოლიტიკის დარღვევის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოხსენება შეიცავს ფაქტებს, რომლებიც უკავშირდება თავად ამ თანამშრომლის მიერ ხსენებული პოლიტიკის დარღვევას.

5. შიდა აუდიტის მექანიზმი

5.1. ბანკს უნდა გააჩნდეს შიდა აუდიტის მექანიზმი, რომელიც შეამოწმებს საბანკო კანონმდებლობის მოთხოვნების, ფულის გათეთრებასთან/ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის (AML/TF) სფეროში არსებული ნორმატიული აქტების და შიდა კონტროლის სისტემის ფარგლებში მიღებული წესებისა და პროცედურების გამოყენების ეფექტურობას.

5.2. ბანკში შიდა აუდიტის მიზანს წარმოადგენს კანონმდებლობით მოთხოვნილი წესების გამოყენებაში არსებული პოტენციური შეცდომებისა და ხარვეზების დროული აღმოჩენა და თავიდან აცილება, ისევე როგორც ამასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

5.3. ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რეგულარული შიდა აუდიტის ღონისძიებების ჩატარებაზე, რომელთა მიზანია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების გამოყენების ეფექტურობის შემოწმება.

5.4. ბანკში შიდა აუდიტის ღონისძიებები ტარდება აუდიტის გეგმის თანახმად.

6. პასუხისმგებელი პირი

6.1. პირი, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის სტრუქტურული ერთეულების მენეჯმენტის დონეზე AML/TF საქმიანობის სფეროში შიდა წესებისა და პროცედურების განხორციელების მონიტორინგზე, ინფორმაციის გაცვლაზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან, ისევე როგორც მონიტორინგს დაქვემდებარებულ ოპერაციებზე ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე, უნდა დაინიშნოს ბანკში.

6.2. ბანკში შიდა კონტროლის სისტემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის პროფესიული კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

6.3. პასუხისმგებელი პირი (შესაბამისობის დეპარტამენტის უფროსი) წარმოდგენილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაში, ისევე როგორც სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობის დონეზე, მისი საქმიანობა დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანგარიშგება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ბანკის ხელმძღვანელობის მიმართ.

6.4. პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს ბანკის შიდა აუდიტის ან მომხმარებლის მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომელი.

7. მარეგულირებელი ქმედებები პოლიტიკასთან შესაბამისობის შემთხვევაში

7.1. წინამდებარე პოლიტიკის ან მისი რომელიმე დანართის მოთხოვნების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანის მიყენება ბანკის რეპუტაციისთვის ან ბანკისთვის, მისი სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებისათვის და თანამშრომლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი სანქციების დაწესება.

7.2. შესაბამისობის დეპარტამენტი უფლებამოსილია, მიიღოს შემდეგი ნორმატიული ქმედებები წინამდებარე პოლიტიკის მუხლი 7.1 დებულებებთან მიმართებაში:

- ა) ბანკის ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულზე (გარდა შიდა აუდიტისა) დაუყოვნებლივ გასცეს ინსტრუქციები (ისევე, როგორც შეისწავლოს ისინი);
- ბ) შეაჩეროს ან გააუქმოს ბანკის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ოპერაცია;
- გ) დაბლოკოს ბანკის ნებისმიერი კლიენტის საბანკო ანგარიში ან გააუქმოს საბანკო ანგარიშის შესახებ ხელშეკრულება;
- დ) მიმართოს ბანკის მმართველობას იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც მის კომპეტენციას სცილდება;
- ე) მიმართოს ბანკის მმართველობას ბანკის ნებისმიერი თანამშრომლის სამუშაოდან გათავისუფლების და მისი ჩანაცვლების თაობაზე წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- ვ) განახორციელოს ყველა მარეგულირებელი ქმედება, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისობის დეპარტამენტის წესდებით.

8. პოლიტიკის მფლობელი და განხორციელების თარიღი

ბანკის დირექტორთა საბჭო ოფიციალურად ინიშნება წინამდებარე პოლიტიკის მფლობელად. წინამდებარე შესაბამისობის პოლიტიკის ნებისმიერი დანართი შეიძლება შეიქმნას შესაბამისობის დეპარტამენტისა და დირექტორთა საბჭოს მიერ და სათანადოდ უნდა იქნას დამტკიცებული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ნებისმიერი გადახვევა წინამდებარე შესაბამისობის პოლიტიკის მოთხოვნებისგან შეიძლება მოხდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით და ინფორმაცია ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მიენიღოს თანამშრომლებს.